საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 3 სექტემბრის №89 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს, სტუ-ის აკადემიურმა საბჭომ წარუდგინა საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სს „საქართველოს რკინიგზის“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ერთობლივად დაფუძნების შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 31 აგვისტოს №1649 დადგენილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სს „საქართველოს რკინიგზის“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში „ა(ა)იპ“) ერთობლივად დაფუძნების თაობაზე.
2. მოწონებული იქნეს „ა(ა)იპ“)-ის დაფუძნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დამფუძნებელთა ხელშეკრულების, „ა(ა)იპ“)-ის წესდებისა და დამფუძნებელთა კრების ოქმის პროექტები.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 3 სექტემბრის №89 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს, სტუ-ის აკადემიურმა საბჭომ წარუდგინა საკითხი „სტუ-ის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: „სტუ-ის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ დებულების 1-ლ, მე-5, მე-7, მე-9, მე-11 და მე-14 მუხლებში შევიდეს ცვლილებები და დამტკიცდეს აღნიშნული დებულება წარმოდგენილი სახით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე